საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12598/01
07/12/2021

12598-01-2-202112071216

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“
მის: ქ. თბილისი, კოტე აფხაზის №44

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 8 ნოემბრის N19961 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ხობი 2 ჰესის მშენებლობის პროექტის ფარგლებში სადერივაციო გვირაბის გაყვანის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების სანაყაროს ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობას და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ 2021 წლის 4 ივნისს სამინისტროში წარმოდგენილი იქნა N9796 განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების განხორციელების მიზნით, სოფელ მუხურში გამონამუშევარი ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობის პროექტს. აღნიშნული განცხადების პასუხად, სამინისტროს 2021 წლის 30 ივლისის N 8106/01 წერილით გეცნობათ სანაყაროს პროექტთან დაკავშირებით დასაზუსტებელი საკითხები, თუმცა, სამინისტროს წერილის გათვალისწინებით განახლებული ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობის პროექტი სამინისტროსთან არ შეთანხმებულა.

გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- შეფასებული არ არის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში იქთიოფაუნაზე და მდინარის წყლის ხარისხზე ზემოქმედების საკითხები;
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მშენებლობის დროს გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების გრაფიკულ ნაწილში, ნაგებობის 3-3 განივ კვეთზე ნაპირდამცავი გაბიონის კედელი არ დადის წარეცხვის სიღრმეზე. საჭიროა დაკორექტირდეს კედლის ჩაღრმავება შესაბამისი მარაგის გათვალისწინებით;
- დაზუსტებას საჭიროებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხები (მათ შორის ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების შესახებ ინფორმაცია), უშუალოდ ნაპირსამაგარი სამუშაოების განხორციელების ტერიტორიაზე;

- სკრინინგის ანგარიშში (გვ. 3) დაშვებულია ტექნიკური სახის შეცდომა, კერძოდ, დაგეგმილი საქმიანობის სახეში მითითებულია „ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის მოწყობა-ექსპლუატაცია“, შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გაანგარიშების შედეგები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, ასევე ხმაურის დონეების გაანგარიშება და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას. დასაზუსტებელია მოსახსნელი ნიადაგის მოცულობა და ტერიტორიის ფართობი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს 2021 წლის 30 ივლისის N 8106/01 წერილით განსაზღვრული საკითხების დაზუსტების, ფუჭი ქანების სანაყაროს პროექტის სამინისტროსთან შეთანხმებისა და ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე